კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

რატომ პრის სასამართლო მნიშვნელოვანი ჩვენთვის

საზოგადოებაში თანაცხოვრებისას ადამიანებს ხშირად გვაქვს კონფლიქტი ერთმანეთთან ან სახელმწიფოსთან. უთანხმოების მიზეზები შესაძლოა მრავალფეროვანი იყოს:

- გაგვათავისუფლეს სამსახურიდან;
- გაგვირთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან ჩვენი ექიმი არაპროფესიონალი ან უყურადღებო აღმოჩნდა;
- განქორწინება გვსურს, თუმცა მეუღლესთან ვერ ვთანხმდებით შვილთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებზე;
- პოლიციამ უსაფუძვლოდ დაგვაჯარიმა;
- პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავს კონსტიტუციით დაცულ ჩვენს უფლებას - მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში ან გავაპროტესტოთ სახელმწიფოს უკანონო ქმედებები და ა.შ.

თანამედროვე საზოგადოებაში აუცილებელია გვქონდეს შესაძლებლობა, ასეთი უთანხმოებები მშვიდობიანად და კანონის საფუძველზე გადავწყვიტოთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ ადამიანები, საკუთარი ოჯახის წევრების ან მეგობრების უფლებების დარღვევის შემთხვევაში, თავად არ მოინდომებენ სამართლიანობის აღდგენას ან თუნდაც შურისძიებას.

სასამართლო არის ადგილი, სადაც დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემები; მოსამართლე კი ამისთვის სპეციალური განათლების მქონე ადამიანია, რომელმაც ფიცი დადო, რომ დაიცავს კანონის უზენაესობას და განმარტავს, რას ამბობს კანონი, დაირღვა თუ არა ის და როგორ აგებს პასუხს კანონის დამრღვევი.

რა პრის კანონის უზენაესობა და როგორ იცავს მას სასამართლო

ხშირად გვესმის, რომ დემოკრატია დაფუძნებულია კანონის უზენაესობის პრინციპზე. ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, ვაშენებთ თუ არა კანონის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოს.

რას ნიშნავს თავად კანონის უზენაესობა?

- **კანონი** არის შესასრულებლად სავალდებულო წესები, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ჩვენს შორის, ასევე გვიცავს სხვა პირის ან სახელმწიფოს უკანონო ქმედებისგან.
- **კანონის უზენაესობა** არის ზოგადი წესი, რომელზეც საზოგადოების ყველა წევრი ვთანხმდებით. ყველა - მისი წარმომავლობის, ქონების, სტატუსის მიუხედავად, თანაბრად იზღუდება კანონით და არავინ შეიძლება დადგეს კანონზე მაღლა. მინისტრები, პარლამენტარები, პრეზიდენტები, არმიის გენერლები, ბიზნესკომპანიები თუ თავად მოსამართლეები, ისევე უნდა დაემორჩილონ კანონს, როგორც ჩვენ - მოქალაქეები.

როგორ იცავს სასამართლო კანონის უზენაესობას?

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება სამ შტოდ არის დაყოფილი:

- კანონმდებელი (პარლამენტი) - ქმნის კანონს;
- აღმასრულებელი (მთავრობა) - აღასრულებს კანონს ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- სასამართლო - განმარტავს კანონს და იყენებს მას კონკრეტული დავის გადაწყვეტისას.

სამივე შტოს საკუთარი განსხვავებული უფლებამოსილებები და მოვალეობები აქვს. ამასთანავე, ისინი აკონტროლებენ ერთმანეთს, რათა რომელიმემ ზედმეტი ძალაუფლება არ მოიპოვოს და, საბოლოოდ, ჩვენი უფლებები გაუმართლებლად არ შეზღუდოს.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი სასამართლოს აქვს:

- სასამართლო ფარია, რომელმაც უნდა დაიცვას კანონის უზენაესობა, კონსტიტუცია და საბოლოოდ - ჩვენი უფლებები და თავისუფლებები პარლამენტის, მთავრობის, სხვა მოსამართლეების თუ ყველა იმ პირისგან, ვისაც მათი დარღვევა შეუძლია;
- სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებელმა და აღმასრულებელმა იმაზე მეტი ძალაუფლება არ მოიპოვონ, ვიდრე ეს კონსტიტუციით და კანონით არის დადგენილი.

სასამართლო ჩვენს და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს, ჩვენი უფლებების ეფექტიანად დაცვას ემსახურება.

აქვე მნიშვნელოვანია - სასამართლო, ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში, სარგებლობდეს საზოგადოების მხარდაჭერით. აუცილებელია მისი დაცვა, თუკი ნებისმიერი ადამიანი ან სახელმწიფო ორგანო ეცდება, შეაფერხოს სასამართლოს საქმიანობა ან დაემუქროს მის დამოუკიდებლობას.

როგორი უნდა იყოს სასამართლო, რომელიც ჩვენს უფლებებს იცავს?

დემოკრატიულ სახელმწიფოში, იმისთვის, რათა სასამართლომ ეფექტიანად დაიცვას ჩვენი უფლებები, ის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე უნდა იყოს.

დამოუკიდებელი სასამართლო - უპირველესად ემსახურება ჩვენი - ინდივიდების და საზოგადოების დაცვას; მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში შეიძლება გვქონდეს მოლოდინი და ნდობა, რომ ჩვენს საქმეს მოსამართლე სამართლიანად განიხილავს. დამოუკიდებელი სასამართლო ნიშნავს ყოველგვარი ძალდატანებისა და მუქარისგან თავისუფალ მოსამართლეს, მიუხედავად მუქარის ავტორისა, იქნება ეს პოლიტიკოსი, ნათესავი, მეზობელი, კოლეგა მოსამართლე თუ სხვა ნებისმიერი ადამიანი.

სასამართლოს დამოუკიდებლობა აუცილებელია, რათა დავიცვათ ჩვენი უფლებები და საზოგადოების ნდობა კანონის უზენაესობის მიმართ.

მიუკერძოებელი სასამართლო - მოსამართლეს, როგორც ნებისმიერ ადამიანს, აქვს საკუთარი მოსაზრებები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, ოჯახური ძალადობა, აბორტი, უსახლკარობა და ა.შ. თუმცა ის ვალდებულია, გადაწყვეტილება მიიღოს არა საკუთარი შეხედულებების ან საზოგადოებაში პოპულარული აზრის თანახმად, არამედ მხოლოდ კანონის და მტკიცებულებების საფუძველზე.

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი პროცესი და არა სასარგებლო შედეგი რომელიმე მხარისთვის.

გამჭვირვალე სასამართლო - იმისათვის, რათა ვენდობოდეთ სასამართლოს, მნიშვნელოვანია, სამართალი აღსრულდეს საჯაროდ.

სასამართლო არა მხოლოდ უნდა იღებდეს სამართლიან გადაწყვეტილებებს, არამედ უნდა ვხედავდეთ, რომ ეს გადაწყვეტილებები სამართლიანია.

სასამართლო პროცესი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ღია უნდა იყოს ყველასთვის (მაგალითად, სხდომის დახურვით მოსამართლე იცავს არასრულწლოვანის ინტერესებს, მსხვერპლის უფლებებს და სხვ.). ჩვენ უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, გავიგოთ რა ხდება სასამართლო დარბაზში, რა საქმე განიხილება, ვინ არიან მონაწილეები და გავაკეთოთ დასკვნები, რამდენად ვენდობით სასამართლოს.

ჩვენ - საზოგადოებას მხოლოდ მაშინ გვაქვს ნდობა და ვასრულებთ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, თუკი ვხედავთ, რომ სასამართლო საქმეს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წყვეტს და წინასწარი განწყობით არ მოქმედებს.

ანგარიშვალდებული სასამართლო - საქართველოში მოქალაქეები ვირჩევთ პარლამენტს, არაპირდაპირ ვმონაწილეობთ მთავრობის შექმნაში, თუმცა არ ვირჩევთ მოსამართლეებს და არც მათი გათავისუფლება შეგვიძლია.

სასამართლოს დამოუკიდებლობა არ გულისხმობს, რომ მოსამართლეს აქვს უფლება, მოიქცეს ისე, როგორც მას სურს. სასამართლო თავისუფალია, თუმცა ანგარიშვალდებულია მხარეების და საზოგადოების წინაშე:

- საქმე გადაწყვიტოს თავად, კანონის და მტკიცებულებების საფუძველზე;
- გადაწყვეტილება დაასაბუთოს სრულად, მხარეებისა და საზოგადოებისთვის დამაჯერებლად;
- საკუთარი ქმედებით თუ გადაწყვეტილებით საფრთხე არ შეუქმნას ჩვენს ნდობას სასამართლოს მიმართ.

როგორ უზრუნველვყოფთ სასამართლოს ანგარიშვალდებულებას?

- იმისათვის, რათა გამოვასწოროთ სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები, ყველასთვის გარანტირებულია გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება;
- სასამართლო სხდომები ღიაა, გადაწყვეტილებები კი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც სასამართლოს საქმიანობის შეფასების და კრიტიკის საშუალებას მოგვცემს;
- თუკი მოსამართლე არაეთიკურად იქცევა, ან კანონს არღვევს, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მოსამართლის პასუხისმგებლობა.

ანგარიშვალდებულება აუცილებელია ჩვენი - საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ნდობა, რომელსაც სასამართლოს ვუცხადებთ, გამართლებული და დამსახურებულია. ანგარიშვალდებულება გვიცავს, რომ სასამართლომ საკუთარი უფლებამოსილებები ბოროტად არ გამოიყენოს.

როგორი უნდა იყოს მოსამართლე, რომელიც ჩვენს უფლებებს იცავს?

სოკრატეს სიტყვებით, „მოსამართლემ ოთხი როლი უნდა შეასრულოს: მოისმინოს თავაზიანად, უპასუხოს ბრძნულად, განსაჯოს ფრთხილად და გადაწყვიტოს სამართლიანად“.

თუკი რიგით ადამიანს აზრს ვკითხავთ, როგორი უნდა იყოს მოსამართლე, დაახლოებით ასეთ პასუხს მივიღებთ: კომპეტენტური, მიუკერძოებელი, შემწყნარებელი, პატივისცემის უნარის მქონე, გულმოდგინე, გამბედავი, დამოუკიდებელი, პატიოსანი, ღირსეული.

რას ველოდებით მოსამართლისგან, ვიდრე ის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს?

გვაქვს მოლოდინი, რომ

- მას საკმარისი ცოდნა აქვს იმ კანონებზე, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას აწესრიგებს;
- მხარეების მიმართ თავაზიანი და სამართლიანია, მათ გულდასმით მოუსმენს და თითოეულს მისცემს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
- გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, სხვების ჩარევის გარეშე მიიღებს;
- დაიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მის რეპუტაციას საზოგადოების თვალში.

მოსამართლეს უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი არ არის. ის იზღუდება, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში ქცევისას ან აზრის გამოხატვისას:

- მას არ აქვს უფლება, წინასწარ აზრი გამოხატოს საქმეზე, რომელსაც განიხილავს ან შეიძლება განიხილოს;
- ის ვერ განიხილავს დავას, სადაც ერთ-ერთი მხარე მისი ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი ან სხვა მსგავსი ადამიანია;
- მნიშვნელოვანია, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში, იყოს თავაზიანი და თავდაჭერილი;
- ადამიანებთან ურთიერთობისას არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი ფრაზები და ა.შ.

თვისებები და ქცევა, რომელიც მოსამართლეს დემოკრატიულ სახელმწიფოში მოეთხოვება, აუცილებელია კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და სასამართლოს მიმართ ჩვენი ნდობის დასაცავად.

აქვე მნიშვნელოვანია: ჩვენი - საზოგადოების ინტერესია, დავიცვათ სასამართლო და მოსამართლე პოლიტიკური ხელისუფლების ან ინდივიდების გაუმართლებელი კრიტიკისა და მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისგან.

USAID
ამერიკის ხალხისგან
EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ბროშურა მომზადდა კოლიციის მიერ. მისი გამოცემა შესაძლებელი გახდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და ის შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.